გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარნიზონის ქვეყლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893


## ივერიის რედაქციისაგან

მოაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოგზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა შეუწყდება პირველ მაისიდგან.


სახელმწიფო თეატრი

დღეს, 27 აპრილს,

ქართულ თეატრის არტისტი ქალი

ბ. ა. ავალიშვილისა

გამართავს წარმოდგენას,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი: ქ.ქ. ციციშვილისა, ...კორინთლისა და ბ. გ. დ. ქ—ლი

წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა

დრონი მეფობენ

დრამა 5 მოქ. თხზ. გულისაშვილისა

მოთამაშენი: ქ. ქ. ავალიშვილისა, არ...ნი, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, ცაგარელი მჭედლიშვილი ღ სხ.

დასასრულ

დივერტისმენტი

წაკითხულ იქნება

ნიკ. ბარათაშვილის ლექსები

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ


## ახალი ამბავი

*** თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო საზოგადოებრივ ... ხულო თეატრში საკვირაოდ დანიშნული წარმოდგენა გადადებულ იქმნა და დანიშნულია დღეისთვის. წარმოადგენენ ახალ პიესას „დრონი მეფობენ“.

*** სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამოუგზავნია კავკასიაში მოხელე როდიონოვი ღვინის კეთების შესასწავლად. ამის გამო ტფილისის გუბერნატორი უბრძანებს ტფილისის პოლიცმეისტერს და მაზრის უფროსებს, რომ ამ მოხელეს ყველგან შემწეობა აღმოუჩინონ.

*** ჩვენ მოგვივიდა კიდევ ქ. ქუთაისიდგან 12 მან., ს. ზ. ენოქიძეს მიერ შეკრებილი, ქიზიყ კახეთის დამშეულთა სასარგებლოდ. ამ ფულისა იყო 33 მან., შესდგა სულ 45 მან.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ თ. ჟორდანიას საისტორიო ქრონიკების დასაკვეთად სამ-სამი მანეთი: კონსტანტინე წერეთლისაგან, ქაიხოსრო მახარაძისაგან, ტრიფონ კაჭარავასაგან, კონსტანტინე ჟორდანიასაგან, იასონ გეგელაშვილისაგან, თეიმურაზ ჩ ჩ.-ვასაგან, სპირიდონ ნორაკიძესაგან თეიმურაზ ნორაკიძესაგან, ტ. ბოკუჩავასაგან, ფარნა დავითიასაგან და დარისპან ელიავასაგან. სულ—33 მან. აქამდე იყო 283 მან. ამით შესდგა 316 მან. წიგნები უნდა გაიგზავნოს დ. ოჩამჩირეს.

*** პირველ მაისიდგან შეუდგებიან ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში კალიის გაწყვეტას სხვა-და-სხვა სოფლებში. მუშები და იარაღი უკვე მზად არის. ტფილისის გუბერნატორს გორის მაზრიდგანაც მოუთხოვია მუშები სამასი კაცი, რომლებიც იმუშავებენ ორ-ორ კვირას და ყოველ ორ კვირის შემდეგ ძველი მუშები შინ წავლენ და ახლები მოვლენ სამუშაოდ. გუშინ-წინ ტფილისის მაზრის უფროსს აცნობეს, რომ ქალაქს გარედ მინდვრებშიაც დიდ-ძალი კალია გაჩნდაო.

*** 16-ს აპრილს, ტფილისის მაზრის ზემო სარვანის მცხოვრებს ფირვარდი აღა ბაირამოვს, რომელიც მიდიოდა ტფილისიდამ, მანგლისის მახლობლად დასცემია სამი კაცი, წაართვეს 150 მან. ფული და ისე სცემეს, რომ სიკვდილის პირად მიაგდეს.

*** 12-ს აპრილს ტფილისის მაზრის სოფელ თონეთში მცხოვრები გაბო გოგიაშვილი თავის ამხანაგებით დაეცა სოფელ ვაშლოვანის მცხოვრებს სოლომონ აბუაშვილს და მარცხენა მკლავი მოაგდებინა ხანჯლით. აბუაშვილს მორჩენის იმედი არა აქვთ.

*** ტფილისის მაზრის სოფელ წინწყაროში გაჩენილა სახადი და 18-ს აპრილიდგან 22-მდე ავად გამხდარა ორი კაცი; სულ ავად არის 11 კაცი და, რადგან ეს სენი თან და თან ძლიერდება, გაუგზავნეს მაზრის მკურნალი ბეზირგანოვი.

*** გურია, 22 აპრილი: ოც წელიწადზე მეტია, რაც შუბნის წმ. გიორგის ეკკლესიის მრევლი იმის ზრუნვაში და საგონებელშია, თუ ხსენებულის ეკკლესიის ძველის-ძველი და ვიწრო ხის შენობა როგორ განაახლოს. იმათ ამაზედ კრება და ბჭობა მრავალ გზის ჰქონდათ, მაგრამ მრევლის სიმცირე და სიღარიბე საქმეს ყოველთვის შლიდა. წარსულს წელს, როგორც იყო, შენობის აგების საქმე მოაგვარეს იმ იმედით, რომ ბ-ნთ პირველის გილდის ვაჭრებმა იორდანე და სპირიდონ გ. სიხარულიძეებმა ხუთასი მან. და ეკკლესიის წიგნით გაწყობა აღუთქვეს. მაგრამ მრევლს მაინც ემძიმა დანარჩენ ხარჯის გადახდაც და საქმეს თავი მიანება. ამ ბოლო დროს, როგორც შევიტყეთ, ბ-ნთ იორდანე და სპირიდონ სიხარულიძეებს მრევლის სიღარიბისათვის ყურადღება მიუქცევიათ და ხსენებულის ეკკლესისს შენობის აგება საკუთრად თავის-თავზედ უდვიათ. გასულ მარტის უკანასკნელს რიცხვებში შენობის მასალის გამოსაკვლევად და ხარჯის აღსარიცხავად თავიანთი სანდო ოსტატი ბერძენი გამოგზავნეს. მასალა მახლობლად აღმოჩნდა, გარდა საკირე ქვისა. ეს უკანასკნელი ქუთაისიდგან უნდა მოიტანოს.

*** ახალ-სენაკი: სწორედ საქმე გაგვიჭირვეს აქაურ ყასბებმა. გირვანქა ხორცს თორმეტ კაპეიკად და ხან მეტად ჰყიდიან. ნეტა ხორცი მაინც იყოს რიგიანი, თორემ ფასის მომატებას ვინ დაეძებს? ამათი მხარე დაიჭირეს მეფურნეებმაც და ესენიც ისე ჰყიდიან პურსა, როგორც მათი ნებაა... საჭიროა, ვისიც ჯერ არს, ამათ თავგასულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და დააწესოს ნიხრი, როგორც წინა წლებში ყოფილა, რომ იმის საშვალებით შეეძლოს ყველას დღიურის სურსათ-სანოვაგის ყიდვა.

*** 19 აპრილს თელავიდამ ჩამოსული ფერშალი ნიკოლოზ ბუტუზოვი ნუნუბაროვის სახლში ავად გახდა. იქიდან სამკურნალოში წაიყვანეს და იქვე გარდაიცვალა. ექიმებმა შეამოწმეს და სთქვეს, რომ მიცვალებული საწამლავ დანალევიაო.

*** 24 აპრილს ქალაქის საყასბოს მახლობლად კუნძულზე იპოვნეს გვამი სოფ. ზემო ხანდაკის მცხოვრებ იოსებ გორგაძისა. მიცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს

## დასაფლავება დიდუბეში ნ. ბარათაშვილის ნეშტისა

კვირა დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე, საცა მოელოდნენ ნ. ბარათაშვილის ნეშტს განჯიდამ. ვაგზლის არე მარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ჭედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი. რკინის გზის ბაქანზე იდგა შემოსილი ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე არქიმანდრიტებითა და სამღვდელოებით. აქვე იყვნენ წარმომადგენელნი ქართველ ინტელიგენციისა და მაღალის საზოგადოებისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტაციები სხვა-და-სხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებითა პოეტის კუბოს შესამკობად. $9^1/_2$ საათზე მოვიდა მატარებელი და ვაგონიდამ გადმოასვენეს კუბო ძვირფასის ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ პოეტის ნათესავი, ღვიძლი ბიძაშვილი თ. გ. ი. ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელნიც გაგზავნილნი იყვნენ განჯას. მცირე პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ნეშტი გამოასვენეს ვაგზლიდამ სამგლოვიარო „წმიდაო ღმერთო“-ს გალობითა. აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა დიდებულის მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აურებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასის სხვა-და-სხვა გვარის გვირგვინებით, კუბო ხელში ეჭირათ: ხან ქალებს, ხან ახალგაზდობას, ხან ნათესავებსა და ისე მიასვენებდნენ. გზა-გზა რამდენიმე ხორო გალობდა: ხორო ქალებისაც, სასულიერო სემინარიის შეგირდებისაც, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა და მ. შარაძისა, ბ-ნ ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურს-დასრულებულ შეგირდებისაგან მღვდელს მამა ვ. კარბელაშვილს. როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკკლესაას, ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა. თვით ეკკლესიაში სიტყვა სთქვა ზიარების დროს მღვდელმა ცინცაძემ.

ფოტოგრაფმა რამდენჯერმე გადაიღო სურათი პროცესიისა. წირვის გათავების შემდეგ საფლავზე გადახდილ იქმნა კვლავ მცირე პანაშვიდი და წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

## ფელეტონი

### ცხოვრება და პოეზია

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

(ვუძღვნი თავ. ნიკ. რევაზის ძეს ერისთავს)

(შემდეგი *)

II

გიმნაზიის შესრულების შემდეგ ბარათაშვილმა ჯერ სამხედრო სამსახურში გაიპირა შესვლა. ეს ისეთი დრო იყო, რომ მთელი კავკასია და რუსეთი ლეკებთან ბრძოლას ებებდა და შამილის დაჭირვას ფიქრობდა სიზმარში და ცხადად. ამასთან სამხედრო ასპარეზი, რომელშიაც იღვწოდა პოეტის სასიქადულო ბიძა გრიგოლ ორბელიანი, ადრიდგანვე შეადგენდა მის სურვილის საგანს. გარნა ეს სურვილი არ აუსრულდა პოეტს; დედ-მამამ თანხმობა არ მისცეს; „შვილო, კოჭლი ხარ, თუ არ ინვალიდების კამანდაში, შენ სამხედრო სამსახურში რად ივარგებო“, უთხრეს იმათ. მაშინ ოცის წლის ყმაწვილმა ითხოვა უნივერსიტეტში გაგზავნა, მაგრამ თანხმობა არც ამაზე მიიღო. ბარათაშვილი დამორჩილდა მაშინ თვის ბედს, დარჩა ქალაქში და, სხვა რომ ვერა მოახერხა-რა, შევიდა ჩინოვნიკად კავკასიის უზენაესს სასამართლოში, რომელსაც ერქვა Экспедиція суда и расправы.

თითონ პოეტი აუწერს თავის მდგომარეობას ბიძა მისს გრიგოლ ორბელიანს ერთს წერილში თებერვლის თვიდამ 1837 წლისა.

„საყვარელო ძიავ!.. აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდა ი რასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мнѣ въ радужныхъ мечтаніяхъ, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მოჰსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური. ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა; იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ-კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდის კამანდაში სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე რომ ჩემებურად კიდეც ვჰხტი და კიდეც ვტანცაობ. მაგრამ, რადგანაც შევიტყე უ-რი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავათმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც-კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო? ამას შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემი თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დავმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმცა ხანდისხან ჯავრით დავპირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება! რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიშოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილის კაცისთვის, ვისაც-კი სამოქალაქო სამსახურში უნდა, პირველი შკოლაა. ეს არის რომ кругъ чиновниковъ не выгоденъ для образованья нравственности, მაგრამ ეს თავზედ არის დამოკიდებული“.

„ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ, ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება, ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მაალის!“

ბარათაშვილი გამოვიდა ამ გვარად ცხოვრებაში, გახდა ჩინოვნიკად, საზოგადოების მოსამსახურე პირად. ის ჯერ ერთობ ყმაწვილი იყო, პროტოკოლების და აქტების მაგივრად ამას ერჩია ჯერ ისევ სიტყვიერების თეორია სჭეროდა ხელში, მაგრამ, იმის თქმისა არ იყოს, ბედმა ეს მოუტანა და ესეც დამორჩილდა ამ მკაცრს ბედს. იმას სწყუროდა სამხედრო დიდება,

*) იხ. „ივერია“, № 85

ტყვა. სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს: თ. აკაკი წერეთელმა, თ. ილ. ჭავჭავაძემ, კნ. ნ. ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა, სომეხთა ახალგაზდა პოეტმა ბ-ნმა თუმანიანცმა, თ. ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვ.

მოგვყავს აქ ზოგიერთი სიტყვები.

### სიტყვა, თქმული ილ. ჭავჭავაძის მიერ.

„თვითვეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობითამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, სთქვა ერთმა ბრძენმა.

ღმერთი, რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს ჰსურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა ყოვლით უწინარეს ამას იკითხავს, —რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ეხლა ცხადი უნდა იყოს რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, —რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს დიდი ძალღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბძანა წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო.

კიდევ ვიტყვი, პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შევსწირავ განწირულის სულის კვეთებამდეო. ამ განწირულობამ გარდაცვალების ერთის წლის წინად ეს სიტყვები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაექცა ბოლოს;

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში
ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა
ნუ-და დამეცეს ცრემლი მწუხარის!..
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!“..
„სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი.“

ეს მწვავი წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ დაიმარხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შვილისა. ეს ჯავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმადიდებლმა კაცმა და დღეს ჩვენ, ჩვენ-და სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნაშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლოამ ცამ თვისი ნამი ცრემლად ზედ ადინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოცდაშვიდს წელიწადს შემდეგ და იქნება სთქვან გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოცდა შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის, არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი ამაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკუა გახსნილმა და გულ გაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდ-ბუნებოვან კაცისა.

დიდ-ბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყივართ დღეს და აკი იწინასწარმეტყველა კიდეც:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“,

და დარჩა კიდეც. ეგ გზა უვალი თვითვეულ ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი. ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას. ხოლო რა დასადარია ხელთ-ქმნილი ძეგლი, თუნდ დიდ ფასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდ-ბუნებოვანობამ ჩვენ გულში აღაგო.

მე არ ვიტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ რომ თვითვეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვავნი მყივარნი მივალალებენო. აღსრულდა ეს წინასწარ-თქმული მისი მაშინ და დღეს-კი მის მტვერს, მის ნაშტს, მის კუბოს, მის საფლავს დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა და ამათს ცრემლს ზედ დაზდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი.

—

დიდის პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავს

თაყვანის ცემით გეგებებით პოეტის ფერფლო!
კი არა ვსტირით, აღფრთოვნდა დღეს საქართველო,
რომ დაკარგული დღეს იპოვა ძვირფასი ნაშთი
და აქ შობილი, აქ აღზრდილი—აქ ჩვენთან დაშთი!
დაუვიწყარი განცხოველდა შენი სახელი;
დღეს თვალ-წინ გვიდგა შენი ღვაწლნი, შენი საქმენი;
ის გვაპატივე, რისაც იყავ დღემდინ მომთმენი.
ჩვენ ის არ ძალ-გვიძს, რომ გამოვსთქვათ, რაც გვაქვს სათქმელი.
სამშობლოს მიწა გულს ჩაგიკრავს მამულის შვილსა,
ტკბილად მიგიღებს, მიგითვისებს მისგან აღზრდილსა;
ცვარსა დააფრქვევს შენსა საფლავს ჭაღარი თბილი
და მყუდროებით განგვგრძობა ეგ ტკბილი ძილი!

კ. ნინო ორბელიანისა

25 აპრილი 1893 წ.

---

### სიტყვა ქუთაისის ქალაქის მოურავის ლ. ლოლუასი

როდესაც კაცის წინ კუბო სდგას, როდესაც იგი პირ-ღია სამარეს დაჰყურებს, მისი სული ყოველთვის გლოვითა და მწუხარებით არის მოცული. მაგრამ დღეს ჩვენ სხვა რასმე ვგრძნობთ, სულ სხვა გრძნობით არის სავსე ჩვენი სული. ნაცვლად გლოვისა, ნაცვლად მწუხარებისა, ჩვენ დღეს მხოლოდ ერთს ბრწყინვალე დღესასწაულსა ვხედავთ, მარტო სიხარულსა ვგრძნობთ. დღევანდელი დღე არის და სამარადისოდ დარჩება ერთ საუკეთესო დღედ საქართველოს ერის ცხოვრებაში, არის სასიხარულო ყოველის კაცისათვის, ვისაც-კი სწამს და უყვარს კეთილი ჭეშმარიტება და ახარებს მათი წინსვლა და გამარჯვება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წელში. გარდაიცვალა უცხო ქვეყანაში, მაგრამ ახლოს, ძალიან ახლოს საქართველოსთან. მაშინაც იყო საქართველო, მაშინაც ქართველები, მაშინაც სწერდენ და კითხულობდენ; მაგრამ საქართველოს არ უწყებია, არ გაუგია, არ უგრძვნია, რომ მან დაჰკარგა საუკეთესო შვილი. ბარათაშვილი მიბარდა მიწას უცხო ქალაქში ყოველის კაცისაგან დავიწყებული.

ამ გვარი დასასრული საზოგადო მოღვაწისა იყო ჩვეულებრივი ჩვენს ქვეყანაში. ეს კარგად იცოდა ჩვენმან პოეტმან, —იცოდა მან, რომელიც მუდამ სტიროდა სულის სიობლეს, რომელიც გლოვდა განქრობას სახელთა მათთა, ვინც მამულისათვის თავი დასდვეს.

გაიარა თითქმის ნახევარმან საუკუნემ, შეიცვალა დრო. შეცვლილან თვით ქართველებიც, და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ იგინი შეკრებილან აქ მის სადიდებლად, ვისიც დაკარგვა ორმოც-და-შვიდის წლის წინ იმათ ამბათაც არ გაუგიათ. კარგს მთქმელს კარგი გამგონი უნდა. ბარათაშვილი იყო კარგი მთქმელი, მაგრამ ჩვენ ვერ ვიყავით კარგნი გამგონნი. ის, რასაც ეხლა აქ ვხედავთ, ცხადათ გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ეს ნაკლულება გაგვისწორებია, თუმცა ამისთვის ნახევარი საუკუნე დაგვჭირდა. აი, ბატონებო, რას გვასწავებს დღევანდელი დღე, აი მიზეზი ჩვენის სახარულისა და დღესასწაულისა.

სამშობლოს მადლობა, სამშობლოსაგან ხსენება არის საუკეთესო და უდიდესი ჯილდო, რომელსაც-კი საზოგადო მოღვაწე მიიღებს, და როდესაც სამშობლო თავისს ერთგულს შვილს ამ გვარს მადლობას გარდაუხდის, ეს გარემოება ყოველთვის სანუგეშო და სასიხარულოა, იმიტომ რომ ცხადად გვიმტკიცებს და დაგვანახებს, რომ კეთილს საქმეს ფეხი მოუგამს და წინ წასულა.

ეხლა მოვიქცევი შენკენ, სასიქადულო ჩვენო პოეტო, მოვიქცევი ვითარცა წარმომადგენელი ჩვენის ძველის დედა-ქალაქისა, მის მიერ აქ შენდა სადიდებლად წარმოგზავნილი. დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არის კუთხე, სადაც შენი ხსენება, შენი ქება არ იყოს. შენ დღეს შეაერთე იგინი, ვინც ჟამთა ვითარებამ და კაცთა უმეცრებამ ერთმანეთს დააშორა, შეახალა და გაჰყარა, —შენ, ორმოც-დაშვიდის წლის მკვდარმან, შენის მძლევრის სულით მათ აგრძნობინე ძმობა, ერთობა და შეჰყარე შენდა სადიდებლად. გაიხაროს შენმან სულმან: იგი აღარ არის ობოლი. მე შენთვის არ ვინატრი საუკუნო ხსენებას: შენი სული არას დროს არ განშორდება ქართველებს და ვიდრე არსებობს ქართველობა, ვიდრე არსებობს ქართული სიტყვა, შენი სახელი არას დროს არ მოიშლება.

—

### ლექსი

თქმული ნ. ბარათაშვილის დასაფლავებაზედ თ. ბიძინა ჩოლაყაშვილის მიერ.

დღეს რა დღე არის ჩვენთვისა, რასა ვსჭვრეტთ ერთობ ქართველნი:
ოთხთავე კუთხით შეიკრბნენ ყოველთა გვართა ტომთ ერნი,
მცხედარსა წინა დამხობილთ, ხელთა უპყრიათ სანთელი
ივერთა გრგვინვას ზანს აძლევს კავკასიისა მთა-ველნი.
ბრძოლით ტანჯულმა ვერ სძლია, შავბნელსა ბედსა, ბურუსსა
და მძიმე ტვირთსა სოფლისას, იმ ჟამთა ვითარებისა;
მით გადვენილი, შორს მოკვდა, ადგილსა სხვათა ერისა.
განქრა ვარსკვლავი მნათობი, დაგვიდგა ჟამი ბნელისა.
ეს არის გვამი ქართველთა, დიდებულისა პოეტის,
რომელმან სხივი მოგვფინა, წმინდისა სვეტის ცხოველის.
აწ სატირელი ეს არის ერისა მისი მგლოველის,
რომ მაგიერსა, მის მზგავსსა, მამული ვეღარ მოელის.

—

აი თარგმანი სომხურად წარმო-

---

უნდოდა ცხოვრება, სავსე ყიჟინითა და ძლევის ხმით, და ნაცვლად ამისა ხვედრმა შეაბა იგი ყოველდღიურს კანცელარიის მუშაობას, იმ უმადლო და წელის მომწყვეტ მუშაობას, რომლისთვისაც იმას თთვეში ხუთი მანეთი ჰქონდა გაჩენილი ჯამაგირად.

ამაზე უარესს პირობაში არ ჩავარდნილა არასოდეს არავითარი ახალგაზდა პოეტური ტალანტი. კაცს ჯერ თერგი არ დაელია, როგორც ამბობდნენ ჩვენი მამები, ქუთაისამდის გზა არ გაუვლია, ზღვა არ ენახა და ბედმა-კი ამ ნიჭიერს ბავშვს ცხვირი კანცელარიაში შეაყოფინა, ტალანტი ხაფანგში მოუმწყვრია. იმ მხეცებისა არ იყოს, რომელიც ზამთარში თავის ფეხების წოვით ირჩენენ თავს, ბარათაშვილსაც თავიანთის სულიერის საუნჯისაგან უნდა ესაზრდოვებინა თვისი ნიჭი და სარწმუნო ყოფილიყო იმ მცირედით, რასაც აძლევდა იმას ტფილისის საზოგადოებური ცხოვრება.

მაგრამ რა იყო ამ დროს ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება? რის მიცემა შეეძლო იმას ჭაბუკ პოეტის მწყურვალე გულისთვის. საუკეთესო კაცები საქართველოსი, ის კაცები, რომლის საზოგადოებას მართლა შეეძლო მიეცა რამ ბარათაშვილისთვის, რუსეთში იყვენენ გადაგზავნილნი. გრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალ. ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი ამ დროს რუსეთში ნანობდენ იმ ფარულ საზოგადოების მონაწილეობას, რომელიც დაწესდა თბილისში 1829 წელს. ეს კაცები წარმოადგენდნენ ჩვენს საზოგადოებაში სამწერლო ელემენტს და ამ ელემენტის უმყოფლობა საგრძნობელი იყო ჩვენის ერისათვის.

„იმ დროს თბილისში—განაგრძობს თავისებურად ბ-ნი კონსტ. მამაცაშვილი—არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები.—ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად სალამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლ. ი. მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბაღებში.

„ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხა-და-სხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც სურდა, ქალალდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს. ქალადის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც“.

სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ ეს ჩვენება ისეთის სანდო მოწმისა, როგორიც არის ბ-ნი მამაცაშვილი ჩვენ დავინახავთ, რომ რიგიანი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელმაც ცხოვრებაში გამოსულს კაცს ისეთივე სამსახური უნდა გაუწიოს, რა სამსახურსაც უწევს მოსწავლე ყმაწვილს შკოლა, ამ დროს არ არსებობდა თბილისში. არ იყო აქ ერთი მჭიდრო ორგანიული ქართული საზოგადოება, ქართული საზოგადებრივი ჰაზრი, არ იყო თეატრი, არ იყო კლუბი, არ იყო გაზეთი, არ იყო საზოგადო ყრილობა, არ იყო მაღალი სასწავლებელი, —ერთის სიტყვით, არიყო არაფერი, რისგანაც დღეს შემდგარა თვით ჰაზრი განათლებულს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ის ცხოვრება, რომელსაც აგვიწერს მამაცაშვილი, იგივე შკოლის ცხოვრება იყო. ყმაწვილი კაცები, სკოლის ამხანაგები, შეიკრიბებოდნენ ერთად, სადილ-ვახშამს შეექცეოდნენ, ილაპარაკებდენ სხვათა შორის სალიტერატურო საგანზედაც, ერთ ხანს ნარდს გაუთამაშებდენ, ან ჭადრაკს და შემდეგ მთვარიან ღამეში სასეირნოდ წავიდოდნენ ქუჩებზე და ბაღებში. მაგრამ ასე ხომ შკოლაშიაც უტარებიათ ამათ დრო, ასე ხომ დღესაც ატარებენ დროს შეგირდები და ისიც თუ იკადრებენ ამისთანა უბრალო დროს გატარებას, თუ არ არიან ხოლმე ოპერებში, ბალებში, ან სხვა რამე, იმ დროებში უცნობ განცხრომაში. სად იყო ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრება?

თუ კერძო ოჯახი საზოგადოების ცოცხალ წევრად იჩენდა თავს, ეს იყო ან ღლეობაში, ან ქორწილში, ან სხვაგან სადმე ლხინში.

«სადაც საღამოთ ცისკრამდი მხოლოდ დალიე ისმოდა» და მრავალჟამიერის სიმღერისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

თვით პოეტი აგვიწერს ამ გვარის საზოგადოების ფუჭს ცხოვრებას ერთს წიგნში გრ. ორბელიანთან.

„თუ ქალაქის ამბავი გინდა—სწერს ის, წორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივ ერთია, მაგრამ

თქმულის ლექსისაცა: გული დაიმშვიდე და ინუგეშე, მოწყენილო საქართველო! რად დაგლონებია ვაჟკაცური სახე? განსვენებულ პოეტის ნეშტის ხელის შეხებამ განაახლა წყლულნი შენის გულისა, თუ შენს დაობლებულს სულს აშინებს ბნელი სამარე პოეტისა? დიაღ, შენ ხელ-მეორედ საუკუნოდ ესალმები შენს მგოსანს. მაგრამ მის მგოსნობით გამოწვეული გრძნობა არც სამარეში ჩავა და არც დასასრული მიეცემა. იგი გრძნობა მუდამ ცხოველი იქნება მოვა დრო, როცა განკურნავს შენს წყლულს. შენ-კი, მრავალ ტანჯულის ერის საიდუმლო გულის-ნადებათა მგოსანო, შენ, რომელიც მუდამ სწუხდი ცეცხლ-აგზნებულის გულითა და სულით, საუკუნოდ განგისვენოს უფალმა!

—

დ. ბაქრაძის სიტყვა

იმერეთის აზნაურობა თაყვანსა სცემს შენს სახელს და ამკობს გვირგვინით შენს კუბოს, როგორც საქართველოს სახელოვან და სასიქადულო შვილისას.

იგი დღეს ნუგეშობს მითი, რომ გულ-მოდგინედ მისდევს შენს კვალს და ჰზრდის შენს ნერგს, რამდენადაც მოსახერხებელია დროთა ვითარების გამო და ჩვენის დაცემულის მდგომარეობის დაგვარ.

მას სრული იმედი აქვს, რომ კვლავ დაადგას შენს საფლავს საპატიო გვირგვინი, უფრო მხიარულს დროს. ეს იქნება მაშინ, როცა ახლო და შორე მეზობლებს შორის და მრთელს ევროპაშიაც, რომელთანაც ჩვენ გადაბმული ვართ კაცობრიობის განუწყვეტლის ჯაჭვითა, შური შეიცვლება მეგობრობად, სიძულილი სიყვარულად და მონება ძმობად.

ეს დრო ძლიერ შორს არ არის, თუ მივიღებთ ყურადღებაში კაცობრიობის მაღალ ზნეობისა და განათლების გზით მუდმივ სიარულს. თუ ამოიხედავ შენს კუბოდგან, ახლაც დაინახავ ამის ბრწყინვალე ცისკარს, ცხოველ-მყოფელის მზის წინამორბედსა.

მანამდის-კი ტკბილად განისვენე შენს მშობელს მიწაში, სიცოცხლით ტანჯულო და ბედ-შავო პოეტო. მაშინ, როდესაცა ამოვა მზე სიმართლისა, საზოგადო ძმობისა და სიყვარულისა, ჩვენი შვილიშვილები უეჭველად მონახვენ შენს საფლავს და მხიარულად ჩამოგძახებენ დედა ენაზე: გიხაროდენ, აღსდგა ქრისტე, და განხორციელდა მისი ღვთაებრივი, შენი საზიარო სწავლა, რომელიც აღადგენს ზნეობით მკვდართა და დაცემულთა და სამარესავით ბნელსა და მწუხარებაში მყოფთ მიანიჭებს ნათელსა ჭეშმარიტსა და იმ ზომ ბედნიერებას, რამდენიც შეიძლება მოიპოვოს ამ წუთის სოფელში კაცმა, რომელიც-კი ამუშავებს თავსა და ამოძრავებს ხელსა.

ის გარემოება, რომ ჩვენ გავუძელით ამდენს მძვინვარეს და ურიცხვს მტრებსა, ნებროთიდგან დაწყებული ლეკებამდის, და მტკიცედ დავიცევით ჩვენი მიწა, ჩვენი სჯული და ჩვენი დედა ენა, საკმაოდ ამტკიცებს მას, რომ ქართველების თავიც კარგად მუშაობს და ხელიცა.

სულ გვირგვინები იყო ოთხმოცამდე. ყველას წარწერებად ჰქონდა უფრო თვით პოეტის ნათქვამი საგულისხმო და უკეთესი სტრიქონები. გვირგვინები იყო, სხვათა შორის, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან, ტფილისის გუბერნიის მაზრების თავარ-აზნაურთა, წერა-კითხვის საზოგადოებისა, დედათა-სკოლის კომიტეტისა, ქართველ ქალებისა, ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლათაგან, ქართულ საკვირაო სკოლის მასწავლებელ ქალთაგან, ქუთაისის ახალ-გაზდობისა, ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, ქუთაისისა, და ტფილისის ქართველ ვაჭართა, სხვა-და-სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისა, გაზეთებისა და ჟურნალებისა: „ივერიისა“, „კვალჯეჯილისა“, „მშაკისა“, მურჩისა „თარაზ-ალბიურისა“, „კავკაზისა“, „ნოვოე ობოზრენიისა“, და „ტფილისის ლისტოკისა“, საბალოსნო სკოლის შეგირდებისა, წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებლისა, განჯის ქართველებისა, განჯის რკინის გზის სადგურის მოხელეთა, პოეტის ნათესავთ ნ. ს. ერისთავისა და თ. გ. ი. ორბელიანისა და მრავალ სხვათაგან.

—

ნ. ბარათაშვილის დასაფლავების გამო ჩვენ მივიღეთ შემდეგი დეპეშები:

ფოთიდგან

ქართველთა გლოვისა და ჭმუნვის პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის პატივსცემელთა თანადასწრებით დღეს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი მის ნეშტის გადმოსვენების გამო.

მეუნარგია

—

კავკავიდგან

დღეს გადვიხადეთ პანაშვიდი ჩვენის ერის გლოვა-ჭმუნვის გამომთქმელ პოეტის ნ. ბარათაშვილისა.

ბოცვაძე

—

ყვირილა

დღეს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ნიკოლოზ ბარათაშვილისა. დაესწრნენ მის ნიჭის პატივისმცემელნი.

ხუსკივაძე

—

თელავი

მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა თავად-აზნაურთა და მრავალის ხალხის თხოვნით, გარდაიხადა პანაშვიდი დაუვიწყარ პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

---

**ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის აზრი პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და იმის პოეზიაზე** (Тифл. Вѣстн. 1876 года).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები ქართულ პირველ ჟურნალ „ცისკარის“ დაარსებამდე—1852 წ. ხელნაწერებით ვრცელდებოდა ქართველ მკითხველთა შორის. შემდეგ ყველა ქართული ჟურნალი — „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, «კრებული» — დრო-გამოშვებით ბეჭდავდა ნ. ბარათაშვილის წვრილმან ლექსებს და პოემა „ბედი ქართლის“ ნაწყვეტებს.

მაშინ კაცები, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ ქართულ მწერლობას, შენიშნავდნენ, რომ ის ოც—ოც-და-ათიოდე ლექსები, რომელიც ხელ-მოწერილი იყო „ნ. ბარათაშვილის“ სახელით, დიდად ნიჭიერისა და გრძნობიერის პოეტის ნაწერი უნდა ყოფილიყო. მართლაც, მისი მოსიყვარულე სული, ბედზე ჩივილი და კაცობრიულ იდეალებისაკენ მისწრაფება—სულ არ ეთანხმებოდა წინანდელ დროის ქართულ პოეზიას, რომელიც მხოლოდ სილამაზესა და სიყვარულს დამღერიდა. განსაკუთრებული თვისება ნ. ბარათაშვილის პოეზიისა ისაა, რომ მისი ლექსები ისეთის აზრით, და გრძნობით არის დაწერილი, ისეთის ძლიერის სიტყვებითაა გამოთქმულ-გამოხატული, რომ ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს...

ამიტომ, თუ სახეში მივიღებთ ქართულ მწერლობის მდგომარეობას ნ. ბარათაშვილის დროს და განსაკუთრებით მაშინდელ პოეტების აზრს პოეზიასა და მისს დანიშნულებაზე,— მაშინ სამართლიანმა და უტყუარმა კრიტიკამ უნდა აღიაროს ბარათაშვილი ჭეშმარიტ განმაახლებლად ქართულ მწერლობისა. წინანდელ პოეტების ლექსები მხოლოდ ღვინოსა და სატრფოს დასტრიალებდა. თითქმის სულ-მნათ რუსთაველის შემდეგ ვერც ერთმა ქართველ პოეტმა ვერ შეითვისა და ვერ შეიხორცა ის აზრი, რომ პოეზია მხოლოდ სატრფიალო და ქალის სიყვირულის გამოსაკვანძად არ არის გაჩენილი...

მართალია, სხვა-და-სხვა დროს გარეგანი ფორმა ლექსისა ვითარდებოდა, ლექსთ-წყობა სხვა-და-სხვა რიგად იცვლებოდა, ლექსი ტირილს—სიცილად, აღტაცებულ აღფრთოვანებულ სიხარულს—ვედრება აჯად გარდააქცევდა ხოლმე, მაგრამ შინაარსით, აზრით მაინც ერთი და იგივე გამოდიოდა. იშვიათი იყო ისეთი მწერალი, რომელიც თავის ლექსებში დრო-ჟამის ვითარებასა და სიავეს შეჰხებიყო, და არც ერთს, გარდა დ. გურამიშვილისა, არ გაუბედია გამოეთქვა ლექსებით ცხოველი აზრი თავის დროის ცხოვრების სხვა-და-სხვა საგნებზე...

მაშასადამე, ცხადია, ასეთ მწერლობაში რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთს ნიჭიერს პოეტს, რომელმანც პირველად გაჰბედა გაემსჭვალა თვისი ლექსები დრო-ჟამის ცოცხალის მოტივით და გამოეთქვა მაშინდელ საუკეთესო კაცთა გუმანი, გულის-ნადები და მისწრაფებაი....

მარტო ეს გვიჩვენებს ნ. ბარათაშვილის ორიგინალურს, თავისებურს მგოსნობას, რის გამოც, ეჭვი არაა, ის განკერძოებულად უნდა დარჩენილიყო სამშობლო მწერლობაში. მაგრამ, ნ. ბარათაშვილის ლექსის გარეგანი ფორმა და შემუშავებაც ორიგინალურია, თავისებური. მართალია, მისი ლექსი ისე მსუბუქი არ არის, როგორც სატრფიალო ლექსები ა. ჭავჭავაძისა-მაგრამ ისე ტკბილ-ხმოვანია და ენერგიული, რომ იმათი მსგავსი წინედ არა დაწერილა-რა ქართულ ლიტერატურაში.

ნ. ბარათაშვილს არ უყვარს მრავალ-სიტყვაობა; ამიტომ იმისი ლექსი გარეგან ფორმით ძლიერ მოკლედ მოჭრით-გამოთქმულია და საზოგადოდ ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს მკი, თხველზე, როგორც ლექსნი რუსეთის დიდებულ პოეტ ლერმონტოვისა. ჩვენის პოეტის ლექსი, როგორც ლერმონტოვისა, ისეთივე ძლიერი და მკვეთრია, იმ გვარადვე მოკლედ-გამოხატულია, წვრილმანების სრულ უყურადღებობით, და იმნაირადვე გამოკვეთილი; თითქო ჩაქუჩსა სცემს მკითხველს თავში და უნდა ღრმად ჩაუსვას, ჩააგონოს თავისი აზრიო. კიდეც ამიტომ ნ. ბარათაშვილის ლექსებიდგან ქართველს მრავალი ანდაზები და აფორიზმები ამოუღია; ეს ხომ უტყუარი საბუთია, რომ ძალა ნ. ბარათაშვილის ნიჭისა, ტალანტისა ძლიერია, დიადია...

ნ. ბარათაშვილის ლექსები გარეგან ფორმით წლით-წლობამდე უკეთესდებოდა, ვითარდებოდა და ძლიერდებოდა: უფრო მკვეთრი, უფრო ენერგიული და მოკლედ-მოჭრილი გამოდიოდა. 1845-წელს—სიკვდილის წინედ, ხომ ისეთი ლექსი დაგვიწერა სულ-მნათმა, რომ თამამად შეგვილია ხალხის პოეზიისა და გენიოსის ნაწარმოებად მივიღოთ. ქართულ მწერლობაში პირველად ამ ლექსმა შეითვისა ხალხური სასაუბრო ენა, ხალხის გამოთქმა, ხალხური კილო,— ერთის სიტყვით, ქართულმა სახალხო პოეზიამ ამ ლექსში ჰპოვა თვისი ჭეშმარიტი სახე.

ამასთანავე, თუ სახეში მივიღებთ,— ერთ-მხრივ რომ ნ. ბარათაშვილის ლექსი თან და თან უკეთესდებოდა და, მეორე მხრივ, სულ-მნათი პოეტი ძლიერ ადრე, მეტად ყმაწვილი გამოესალმა წუთი სოფელს,—მაშინ კიდევ ერთს მსგავსებას ვიპოვით მას და ლერმონტოვს შორის. უთუოდ, ჩვენი პოეტი, როგორც ლერმონტოვი, სამშობლო პოეზიისა და მწერლობის განვითარების საქმეს უდიდესსა და უაღრეს იმედს უქადიდა და, თუ დასცლოდა იმას მომეტებულ ხანს სიცოცხლე, მაშინ მისი ნიჭი, ტალანტი ისე განვითარდებოდა და მისი მოღვა-

---

პირი ტყუილია ამ ხელად და ჰორიკი მართალი. დიდი დაძგერებაებია ქალებისა; დიდი აყალ-მაყალი; დიდი ტირილი; დიდი ღამის თევაები; დიდი წვეულებაები ერთმანეთის ჯავრით“ [1])...

მეორე წიგნში იმავე ორბელიანთან ბარათაშვილი უფრო მოკლედ და კატეგორიულად სწერს:

„თბილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის [2])“.

ამ გვარს უსარგებლო ქალაქში აზიატიურის საშვალ საზოგადოებისა არგუნა ბედმა ცხოვრება ბარათაშვილს. არც ოჯახში, საცა მტარვალობდა მამა, არც სამსახურში, საცა თავიანთის მუდამ მოღვრემილის და მოშვებულის ცხვირ-პირით ჩინოვნიკობა უმწარებდა სიცოცხლეს, არც საზოგადოებაში, საცა მისი ტოლ-ამხანაგობა არ იყო, საცა სატრფო, ან, როგორც ის ამბობდა, „საგანი“ არ უნათლებდა და არ უთბობდა გულს, საცა კაცად-კაცადი ფიქრობდა მხოლოდ სმა-ჭამაზე და გამდიდრებაზე, ახალ-გაზდა პოეტი ვერ ჰპოვნიდა თვის მხვედრს, იმ მხვედრს, რომელსაც ეძიებდა სიყრმიდგან. იმასაც სწამდა თვისი ვარსკვლავი, იმაშიაც სცხოვრებდა დემონი და ლაღადებდა იდუმალი ხმა, რომელიც ეტყოდა მას:

ეძიე, ყრმაო, შენ ხვედრი შენი!
ვინძლო, იშოვნო შენი საშვენი!

(ეს იმის სიტყვებია). მაგრამ ცხოვრებამ იმედები გაუმტყუნა და ის ეტყვის ნაღვლიანად ამ იდუმალს ხმას:

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!

ოჰ, რა დიდი მზღვარი დასდვა ბედმა პოეტის იდეალებსა და ცხოვრებას შორის. ის ცას იქეთ ეძიებდა სამყოფს:

გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება..

ეუბნებოდა ის სამყაროს და ამის წილ მხვედრმა ის კანცელიარიას მიაკრა მაგარის ჯაჭვით. უნებლიეთ ის შეიქნა ცხოვრებით უკმაყოფილო კაცი, სულით ობოლი, სულით მარტო. ყოველს მისს საქციელს, ყოველს მისს ნაწერ-ნალაპარაკევს ამას შემდეგ ცხოვრებით უკმაყოფილების ბეჭედი ამჩნევია.

„კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ—სწერს პოეტი ერთს ნათესავს ქალს. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი დიდი ხანია, ობოლი ვარ... სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაცა, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მქონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონია: ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მივიდრიკო თავი? [3])

ერთის სიტყვით, ის შეიქნა

ჭკუით ურწმუნო, სულით უნდო...

რომელიც, თუმცა კაცების საზოგადოებაში იყო, მაგრამ მეგობრებს კაცს-გარე ეძებდა: არშიყობდა მთვარიან ღამეს, ამცნობდა გულის საიდუმლოს მხოლოდ ვარსკვლავთა, შეეტრფოდა, ვით მეგობარს, მთაწმიდის წყნარს საღამოს და გაირთობდა სევდას მტკვრის ნაპირებზე...

აი ამ დროს ბარათაშვილი კარგს წრეში რომ ჩავარდნილიყო, რომ რამე ძანქანებით მის გარშემო საზოგადოებაც გაჩენილიყო განათლებული, მწერლობაც განვითარებული, იმისგან მეტად შესანიშნავი პოეტი შეიძლებოდა დამდგარიყო. მაგრამ სად იყო ამ დროს ან მწერლობა, ან მკითხველი საზოგადოება, ან ზნეობითა და გონებით გაჩალხული განათლებული წრე საზოგადოებისა? ქვეყანამ, ცხოვრებამ, ნაცნობ-ნათესაობამ, ყოველ-დღიურმა პროზამ, რომელთაც ბარათაშვილზე უფრო ძლიერი ხასიათი შეუმუსრავთ, პოეტი გაიტაცეს, ჩაითრიეს ამ სოფლის დაუდგრომელს ბრუნვაში და ეს ბუნებისგან უჩვეულოდ დაჯილდოვებული არსება შეიქნა ჩვეულებრივ კაცად, რომელიც, რუსულის ანდაზისა არ იყოს, ქვეყნად იყო და ქვეყნიურს ამბებს ჩადიოდა.

ი. მეუნარგია

(შემდეგი იქნება)

[1]) წერილი 28 მაისის 1841 წ.

[2]) წერილი 18 ოკტ. 1841 წ.

[3]) წერილი 31 ოკდ. 1842 წ.

წეობა მწერლობაში ისე განმტკიცდებოდა, რომ შორს დასტოვებდა და ძლიერაც დაჩრდილებდა ყოველსავე მას, რაც ყმაწვილობის დროს უწერია პოეტს და რაც ეხლა შეადგენს საუკეთესო განძს ქართულ პოეზიისა და მწერლობისას.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

### I

ნება გვიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩვენდამი რწმუნებულ ბზნისის წმიდის გიორგის ეკკლესიის მრევლის სახელით ბ-ნთ: თომა იორდანეს ძე თოდრაძეს და ათანასე ჩანტლაძეს. პირველმა შემოსწირა ხსენებულს ეკკლესიას ერთი კანდელი ღირებული 47 მან., ხოლო მეორემ ხუთი მანეთი ფულად.

ბზნისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი გრიგოლ ლომთათიძე

### II

გიგზავნით 12 მანეთს, შეკრებილს აქაურ ფარმაცევტებთა შორის, და გთხოვთ გადასცეთ ქიზიყ-კახეთის დამშეულთა სასარგებლოდ. აი სია შემომწირველთა: ლ. კოკოჩაშვილმა—3 მან., თ. ნანეიშვილმა—1 მ., ი. გერდზეევსკიმ —1 მ., ზ. კოკოჩაშვილმა 1 მ., ლ. მიქაძემ—1 მ., მ. სოლოროვმა 1 მ., ვ. ქაჯაიამ—1 მ., გლუშაკოვმა—1 მ., ლომიძემ—1 მ., ს. ენუქიძემ—1 მ.

ს. ზ. ენუქიძე

ქ. ქუთაისი
20 აპრილს 1893 წ.

---

## ПИСЬМО ВЪ РЕДАКЦІЮ *)

Въ № 56 газ. Иверіи, въ корреспонденціи изъ м. Хони, приписаны мнѣ такія слова и дѣйствія, которыхъ и тѣни въ дѣйствительности не было. Въ газетѣ сказано, будто я „послѣ долгихъ стараній убѣдилъ учениковъ возвратиться въ семинарію съ тѣмъ, что никто изъ нихъ не будетъ исключенъ и что директоръ никакого дѣла не будетъ имѣть съ ними до пріѣзда Попечителя“. Напротивъ, и отдѣльно съ учениками и въ присутствіи пристава я говорилъ ученикамъ: „Никакихъ условій; другой власти, кромѣ г. Директора, не было, нѣтъ и не будетъ въ семинаріи; всѣ будете наказаны и если нужно будетъ всѣ будете исключены; мѣру наказанія опредѣлитъ г. Попечитель Округа. Безусловное повиновеніе, ничто не будетъ измѣнено“. Уѣзжая изъ м. Хони, послѣ недѣли класныхъ занятій, я вновь повторилъ ученикамъ: „всѣ будете наказаны; заслужить смягченіе наказанія можете только безусловнымъ повиновеніемъ, хорошими успѣхами и поведеніемъ“.— Невѣрно и то, будто родители содѣйствовали мнѣ: напротивъ, родители сказали мнѣ, что они не могутъ привести своихъ дѣтей.

Окружной Инспекторъ Кавказкаго учебнаго округа *Завадскій*.

---

## დეპეშა

24 აპრილი

**ბერლინი.** რეიხსტაგმა უარ-ჰყო სამხედრო კანონ-პროექტი. იმპერიის კანცლერმა წაიკითხა იმპერატორის ეპისტოლე რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ. ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია ბრძანება იმპერატორისა, რომლის ძალითაც რეიხსტაგში არჩევანები დანიშნულია $^{15}/_{3}$ ივნისს.

25 აპრილი

**პეტერბურგი.** აკრძალულ იქმნა გაზეთ Рус. Ж.-ის ცალკე ნომრობით გაყიდვა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აპრილი.

| | მყიდველ-ნისა. | გამყი-დველისა. | გაურიგ-დნენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,68 | 7,70 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 153½ | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 243½ |
| —მეორისა . . | — ,, | — ,, | 221 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | 99⅝ |
| აზნაურთა თავ. და აზნაურობის ბანკის ძომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 194¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | 102 | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 99¾ | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩისა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---

*) იბეჭდება კავკასიის საცენზურო კომიტეტის განკარგულებით.


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

რადგანაც ამ თთვის 30-ს თავდება ვადა კანდიდატთა სიების წარმოდგენისა, ქალაქის გამგეობა სთხოვს ბ-ნთ ამომრჩეველთ, ახლავე მიიღონ ბილეთები არჩევანებზედ დასწრებისა დ სიები კანდიდატებისა, რადგანაც არჩევანების დღეს, დიდ ძალის ხალხის დასწრების გამო, ქალაქის გამგეობისთვის ძლიერ ძნელი იქმნება ყველა მთხოვნელის სურვილის დაკმაყოფილება.

(2—1)

ГЛИЦЕРИНОВАЯ ПУДРА
НОВОЕ ИЗОБРѢТЕНІЕ
ОСВѢЖАЮЩАЯ КОЖУ.
ОБЕЗПЕЧЕНО ПРАВОМЪ СОБСТ.
БРОКАРЪ и К°.
5о коп.




ЗА КОРОБКУ

ЧИСТКА И ГИГІЕНА ЗУБОВЪ
ЗУБНЫЯ СРЕДСТВА
ЗУБНАГО ВРАЧА
АДЕЛЬГЕЙМЪ
МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ
СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ
ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

---

**კბილის ექიმი**
**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—48)

---

**ახალ-სენაკში**

კ. თავართქილაძის ახალ სტამბაში დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებს, სადაც-კი ქართული წიგნები ისყიდება, შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

1) „ჩანგი“, პირველ გამოცემიდან გადმობეჭდილი და მრავალი ახალი ლექსების და სცენების დამატებით, მშვენიერი ყდით, ფასი 1 მ.

2) „გამიჯნურებულ ქალ-ვაჟის მიწერ მოწერა“, ვინმე მესხისა, 5 კ.

3) „არსენას ლექსი“ სურათით 5 კ.

4) „ვეფხის-ტყაოსანი“, მეორედ გამოცემული ქ. ოზურგეთში, გასწორებული, მოკლე ბიოგრაფიით და სურათით, 40 კაპ.

5) „რამდენიმე მოთხრობა“, ნინოშვილისა, 50 კ.

6) „სიმონა“ მისივე 30 კაპ.

7) „ზანგის სამკვიდრო“, თარგმანი დათიკო ვერმიცანაშვილისა, 10 კ. და სხვა-და-სხვა წიგნები.

---

*Fleichner's Fettpuder*

მსუქანი პუდრა ლეიხნერისა
კოლოფით 1 მანეთია

პუდრა დილისა და საღამოს სახმარი, სახეს არ ემჩნევა. პირის კანს აკეთებს. თეატრის გრიმისთვისაც კარგია. მსუქანი ფერ-უმარილი. ყარანდაში წარბებისთვის. რუსეთის ყველა აფთიაქში და კოსმეტიურ მაღაზიებში იშოვება.

**ლ. ლეიხნერი, ბერლინში,**

ბელგიის საიმპერატორო თეატრის იჯარადარი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის: В. Аурихъ, Колокольная, 18—19.

С.-Петербургъ. (6—3)

---

„ნევის კაპრიზები“
დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“
„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. დ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—4)

---

**ა. რალლე და კომპ.**

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

**აპონური საპონი „მუსმე“**

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.

---




**VÉRITABLE BÉNÉDICTINE**

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტნი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand ainé

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონიმიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

---

ახლად გამართული

**პანსიონი და სასწავლებელი**

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—50)


Доз. ценз. Тифлись, 26-го Апрѣля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.